ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დადგენილება № 20-83

« 30 » დეკემბერი 2014 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში მოქმედ დაწესებულებებზე, ორგანიზაციებზე, ინდივიდუალურ მეწარმეებზე, ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე ერთჯერადად დარიცხული დასახლებული ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებლის დარიცხვის თარიღის განსაზღვრის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონი "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „დ" ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „კ" ქვეპუნქტის, „ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტისა და მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1.

განხორციელდეს კორექტირება იმ დაწესებულებების, ორგანიზაციების, ინდივიდუალური მეწარმეების, ფიზიკური და იურიდიული პირების (შემდგომში - აბონენტი) დასახლებული ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებლის (შემდგომში - მოსაკრებელი) დარიცხვის თარიღში, რომელთაც 2014 წლის 22 სექტემბრიდან 2014 წლის 12 დეკემბრამდე მოსაკრებელი დაერიცხათ (განხორციელდა კორექტირება) მომსახურების მიღების მთელს პერიოდზე და ერთჯერადად დარიცხვის პერიოდი აღემატება ერთ თვეს.

მუხლი 2.

პირველ მუხლში აღნიშნულ აბონენტზე მოსაკრებლის დარიცხვის (კორექტირების) ათვლის თარიღად განისაზღვრის ობიექტის შემოწმების თარიღი, იმ დროისათვის არსებული ფაქტობრივი მდგომარეობის გათვალისწინებით.

მუხლი 3.

წინამდებარე დადგენილების ამოქმედების დღიდან 6 (ექვსი) თვის ვადაში აბონენტები ვალდებულნი არიან მოსაკრებლის დარიცხვის თარიღის ცვლილების

მიზნით მიმართონ მოსაკრებლის გადახდევინებისათვის პასუხისმგებელ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურს ან მოსაკრებლის გადახდევინებისათვის (ამოღებისათვის) უფლებამოსილ იურიდიულ პირს.

მუხლი 4.

დადგენილება ძალაში შედის გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ალიბეგაშვილი**

განმარტებითი ბარათი

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში მოქმედ დაწესებულებებზე, ორგანიზაციებზე, ინდივიდუალურ მეწარმეებზე, ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე ერთჯერადად დარიცხული დასახლებული ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებლის დარიცხვაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის თაობაზე

ა) საკრებულოს დადგენილების პროექტის მიღების მიზეზი:

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის დასახლებული ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებლის დარიცხვა-ამოღების კონტროლის მიზნით, დროებითი ღონისძიებების განხორციელების შესახებ, დასახლებული ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებლის ამოსაღებად უფლებამოსილი პირის - შპს „თბილსერვის ჯგუფი“-ს დირექტორის 2014 წლის 22 სექტემბრის №02748 ბრძანებით დაწყებული ქ. თბილისის პასპორტიზაციის ფარგლებში ხორციელდება იმ, რომლებიც ფუნქციონირებენ ქ.თბილისში და ვალდებულნი არიან გადაიხადონ დასუფთავების მოსაკრებელი. ამ დრომდე განხორციელდა თბილისის ხუთი რაიონის შემოწმება. აღნიშნულ პირებზე დასუფთავების მოსაკრებლის დარიცხვა განხორციელდა „ქ. თბილისში დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის მოსაკრებლის შემოღებისა და გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ “ქალაქ თბილისის საკრებულოს 2013 წლის 31 მაისის №7-22 გადაწყვეტილებით (ძალადაკარგულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-46 დადგენილებით) დადგენილი წესით - მომსახურების მიღების მთელს პერიოდზე, რამაც ხშირ შემთხვევაში შეადგინა 2 თვიდან 18 თვემდე პერიოდი; შესაბამისად ერთჯერადად დარიცხული მოსაკრებლის ოდენობა მერყეობს დაახლოებით 100 ლარიდან 200000 ლარამდე. გადამხდელებს დარიცხული მოსაკრებლის გადახდის ვალდებულება აქვთ ათი დღის ვადაში (შესაბამისი ქვითრის მისვლიდან), რომლის გადაუხდელობის შემთხვევაშიც შეუწყდებათ ელ-ენერგიის მიწოდება.

„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტში დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის მოსაკრებლის შემოღების, გადახდის ინსტრუქციისა და დაგვა-დასუფთავების, ნარჩენების მართვის, ოპერატორის შერჩევის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ნარჩენების განკარგვის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-46 დადგენილებით, ძალადაკარგულად გამოცხადდა ქალაქ თბილისის საკრებულოს 2013 წლის 31 მაისის №7-22 გადაწყვეტილება, რის გამოც შესამოწმებლად დარჩენილ რაიონებში მოქმედ დაწესებულებებს, ორგანიზაციებს, ფიზიკურ და იურიდიულ პირებს, ინდივიდუალურ მეწარმეებს, დასახლებული ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებელი დაერიცხებათ მომსახურების მიღების მთელს პერიოდზე, მაგრამ არაუმეტეს ახალი დადგენილების მიღების ძალაში შესვლის დღიდან - 2014 წლის 17 დეკემბრიდან.

არსებული სიტუაციიდან გამომდინარე, დღემდე შემოწმებული ობიექტები აღმოჩნდნენ საკმაოდ მძიმე და არათანაბარ პირობებში, იმ პირებთან შედარებით, რომელთა შემოწმება განხორციელდება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-46 დადგენილების საფუძველზე.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტში მოქმედი დაწესებულებების, ორგანიზაციების, ფიზიკური და იურიდიულ პირების, ინდივიდუალური მეწარმეების თანაბარ პირობებში მოქცევის მიზნით, საჭიროა შემოწმებულ გადამხდელებზე (აბონენტებზე) ერთჯერადად დარიცხული დასახლებული ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებლის დარიცხვის თარიღის კორექტირება.

ბ) პროექტის დამახასიათებელი ძირითადი ნიშნები:

წინამდებარე დადგენილების ამოქმედების დღიდან აბონენტზე დასახლებული ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებლის დარიცხვის (კორექტირების) ათვლის თარიღად განისაზღვრება ობიექტის შემოწმების თარიღი, იმ დროისათვის არსებული ფაქტობრივი მდგომარეობის გათვალისწინებით. ამისათვის, გადამხდელები ვალდებულნი იქნებიან მოსაკრებლის დარიცხვის თარიღის ცვლილების მიზნით, მიმართონ მოსაკრებლის გადახდევინებისათვის პასუხისმგებელ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამის საქალაქო სამსახურს ან საამისოდ უფლებამოსილ იურიდიულ პირს.

გ) პროექტის საფინანსო-ეკონომიკური გაანგარიშება:

პროექტის მიღება მოახდენს გავლენას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტზე, განხორციელებული კორექტირების ფარგლებში.

დ) პროექტის ავტორი:
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია

ე) პროექტის წარმდგენი:
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი